

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №5

ქ.თბილისი

12.06.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში-თავმჯდომარე);

მაია მიქაშაიძე ა(ა)იპ მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, თავმჯდომარის მოადგილე;

ნანა ცერცვაძე ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი;

ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი(შემდგომში-მდივანი);

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;

მაგდა მადრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;

თამარ ზრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირ განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;

თამარ ზარანდია - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ელენე ვეკუა - საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

გიორგი გვალია,  
არჩილ აბაშიძე,  
თორნიკე გურული,  
ნანა იაშვილი,  
ხათუნა ამადლობელი,  
ნატალია თვალჭრელიძე,  
მურად გარუჩავა,  
დავით ჩიჩუა,  
ნინო ბალანჩივაძე,  
ნინო ელბაქიძე,  
გიორგი ლაღანიძე,  
მანანა ხაჩიძე,  
კახაბერ თავზარაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:  
ხათუნა მხეიძე,  
ნინო ხაბეიშვილი,  
ლადო ვარდოსანიძე.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

არჩილ ჯანგირაშვილი,  
სოსო გოგილიძე,  
ნათია კილაძე,  
ლელი ბიბილაშვილი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე,  
ნატალია ბარათელი,  
დალი ოსეფაშვილი.

შპს - კავკასიის საერაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მარინა გედევანიშვილი,  
ვახტანგ წიფწივაძე,  
კახაბერ ჯაყელი,  
ნინო ჩხარტიშვილი.

სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები:

ნათია შეყილაძე,  
ჯიმი კეკელაშვილი,  
იამზე ვაშაკიძე.

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

აკაკი ხელამე,  
ლელა ლატარია.

სხდომა დაიწყო 15:07 სთ-ზე. თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის



მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილული ყოფილიყო მესამე საკითხად ხოლო შპს საქართველოს უნივერსიტეტის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის განხილვა მომხდარიყო მეცხრე საკითხად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი და დღის წესრიგი დაამტკიცა შემდეგი სახით:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.



1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ურბანისტიკა (ურბანული განვითარება)
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	არქიტექტურის დოქტორი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	1101
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ნანა იაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა რომ აღნიშნული პროგრამა გახლდათ აქტუალური და არსებული რეალობიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენდა მისი განხორციელება, გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე ის გარემოება რომ პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი და ორიენტირებული იქნებოდა უცხოელ სტუდენტებზეც. ექსპერტმა დააფიქსირა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა პროგრამის მიზნების აღწერაში პროგრამით გათვალისწინებული სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო აკადემიური ვალდებულებების გვერდით, (რაც ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის მიზანი გახლდათ) ნათლად გამოკვეთილიყო არქიტექტურის და კონკრეტულად ურბანისტიკის სფეროთა პრობლემატიკის სიმრავლე და მულტიდისციპლინარულობა.

- მიზანშეწონილი იქნებოდა დაზუსტებულიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი არქიტექტურაში ან/და სხვა მონათესავე სპეციალობაში - ნაცვლად ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომისა. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა დოქტორანტს ანიჭებდა არქიტექტურის და არა ურბანისტიკის დოქტორის კვალიფიკაციას. შესაბამისი პროფესიული უნარჩვევები და ცოდნა (კრეატიულობა, სივრცითი აზროვნება, გრაფიკული დისციპლინების ფლობა) მხოლოდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში რთული შესაძენი იქნებოდა. ამრიგად, წინა საფეხურის დიპლომი არქიტექტურაში ან/და სხვა მონათესავე სპეციალობაში უზრუნველყოფდა სადოქტორო საფეხურისათვის გათვალისწინებულ სწავლის აკადემიურ ხარისხს, განსაკუთრებით, სწავლის შედეგად შეძენილი ცოდნის საფუძველზე, პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, საკვლევი სამუშაოებისა და პრქატიკული საქმიანობისათვის, ქალაქგეგმარებითი, ქალაქგანვითარების პრობლემების იდენტიფიცირებისათვის და სხვა.

- სასურველი იქნებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობაში მითითებული ყოფილიყო ინგლისური ენის ცოდნის დონე C1 და არა B2, ვინაიდან პროგრამა ურბანისტიკა (ურბანული განვითარება) გახლდათ ინგლისურენოვანი, ხოლო „ურბანისტიკის სფეროში ნორმატიული/აპრობირებული ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის ფლობა; არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ არგუმენტირებული წერილობითი მასალების მომზადება“, არა მხოლოდ ინგლისურის ზოგად ცოდნას, არამედ ტექნიკური/პროფესიული ენის კარგად ცოდნასაც მოითხოვდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ პირველ რეკომენდაციას არქიტექტურის ფაკულტეტი დაეთანხმა, მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და ყველა მიზანი ნათლად იქნა გაწერილი, ასევე დაშვების წინაპირობაც მოდიფიცირდა, იმ თვალსაზრისით რომ უკვე ითხოვდნენ არქიტექტურის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, როგორც იყო მითითებული რეკომენდაციაში. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის C1 დონეს საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამებზე ისწავლებოდა B2 დონე, მაგისტრატურის საფეხურზე კი უფრო გაღრმავებული გახლდათ უცხო ენის სწავლება, ხოლო თუ მოხდებოდა პროგრამის შეცვლა C1 დონით მაშინ უნდა შეცვლილიყო სადოქტორო პროგრამაც სრულად. თავად წარმომადგენელმა განაცხადა რომ ფლობდა ინგლისურ ენას B2 დონეზე და მიაჩნია რომ ეს დონე სავსებით საკმარისია დოქტორის ხარისხის მქონე სტუდენტისთვისაც, იმ შემთხვევაში თუ კურსდამთავრებული მოინდომებდა უმაღლეს სასწავლებელში დასაქმებას, იმ სასწავლებელს უნდა განესაზღვრა რა დონეზე ფლობდა იგი უცხო ენას.

ექსპერტმა განაცხადა რომ როდესაც სტუდენტი შემოდიოდა და აგრძელებდა ასევე B2 დონით სწავლას, ამ შემთხვევაში არ იკვეთებოდა სამი საფეხურის განმავლობაში მისი უცხო ენის განვითარების უნარი, რაც, მისი აზრით, წარმოადგენდა პრობლემას. ვინაიდან პროგრამა იყო ინგლისურენოვანი და თავად ურბანისტიკა გახლდათ ურთულესი საკვლევი და სამეცნიერო კომუნიკაციის სფერო, აქედან გამომდინარე, თუ დოქტორანტს არ ექნებოდა უნარი გაეკეთებინა მოხსენება უცხო ენაზე, როდესაც საუბარი გახლდათ პროგრამის ინტერდისციპლინურობაზე, ასეთ ვითარებაში ხარისხის თამასის დაწევა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. სტუდენტს დასჭირდებოდა მასალის გაცნობა, დამუშავება და გადმოცემა რაც სამეცნიერო კუთხით, არ იქნებოდა საკმარისი. მისი აზრით, აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეთავაზებული C1 დონე, რაც დოქტორანტს პერსპექტივაში საშუალებას აძლევდა ემუშავა საერთაშორისო ასპარეზზეც.

საბჭოს წევრი მაია მიქაშვიძე დაინტერესდა თუ რატომ გადაწყდა ინგლისურენოვანი პროგრამა სადოქტორო საფეხურზე, როდესაც დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით ქვეყანაში არსებობდა ძალიან ბევრი პრობლემა რომლის მოგვარებასაც არ დასჭირდებოდა ინგლისური ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ისინი მონაწილეობდნენ ერასმუსის პროგრამაში და საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებითაც შეიქმნა ინგლისურენოვანი პროგრამა, თუმცა ენობრივი ბარიერის საკითხები ერასმუსის პროგრამაშიც ხშირად

ფიქსირდებოდა. მათ გაგზავნილი ჰყავდათ სტუდენტები პორტუგალიაში, სადაც მხოლოდ 2 საგანი ისწავლებოდა ინგლისურად და 4 პორტუგალიურად, აგრეთვე მათ ჰყავდათ სტუდენტები პორტუგალიიდან და აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაზე ინტენსიურად ელოდებოდნენ უცხოელ სტუდენტებს. ამ ეტაპზე მათ ყავდათ ორი პორტუგალიელი სტუდენტი ხოლო ქართველი სტუდენტები არა. აგრეთვე იყო დაინტერესება თურქმენეთისა და ირანის მხრიდან. წარმომადგენელმა განაცხადა რომ თავად პორტუგალიაში დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა B1 დონე და თავად სწავლებაც მიმდინარეობდა აღნიშნული საფეხურით.

ექსპერტმა აღნიშნა რომ სწავლის დაგროვების თვალსაზრისით და ასევე იმ მიზნით რომ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომი ექნებოდა დასაწერი ინგლისურ ენაზე და საკვლევი მასალაც უნდა მოეძიებინა ინგლისურად, მისი აზრით, აღნიშნული კიდეც ერთხელ ადასტურებდა იმის აუცილებლობას რომ სწავლება წარმართულიყო C1 დონეზე.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა რომ ვინაიდან საუბარი იყო ტექნიკურ საგანზე და ის არ გახლდათ მაგალითად ფილოსოფია რა საჭიროებას წარმოადგენდა უცხო ენის ასეთ მაღალ დონეზე ცოდნა.

ექსპერტმა განაცხადა რომ აღნიშნული საგანი არ გახლდათ ტექნიკური.

საბჭოს წევრი მაგდა მალრაძე დაინტერესდა რამდენი ადამიანური რესურსი გახლდათ წარმოდგენილი აღნიშნულ პროგრამაში, იყვნენ თუ არა უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები ჩართულნი და ასევე დაინტერესდა რატომ არსებობდა წინააღმდეგობა C1 დონესთან დაკავშირებით, პროგრამა მორგებული გახლდათ უცხო ქვეყნების მაგალითად პორტუგალიის პრაქტიკაზე და ხელმძღვანელობდნენ მათი პრაქტიკით თუ თვლიდნენ რომ B2 საკმარისი გახლდათ იმისათვის რომ მკვლევარს დაეწერა ინგლისურენოვანი ნაშრომი და მისი კომპეტენცია ჩაედო ამ სფეროს განვითარებაში, ვინაიდან საუბარი გახლდათ არა საბაკალვრო ან სამაგისტრო, არამედ სადოქტორო პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ წინაპირობის შეზღუდვა C1 დონეზე არ წარმოადგენდა აუცილებლობას და მათთვის პორტუგალიის მაგალითი ასევე არ წარმოადგენდა სახელმძღვანელო მაგალითს. პროგრამის სტრუქტურულიდან და მინისტრის ბრძანებიდან გამომდინარე არ იზღუდებოდა B2 დონეზე სწავლება თუმცა მაგისტრატურაში აღნიშნული დონე უფრო გაღრმავებულად ისწავლებოდა. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო C1 დონეზე განხორციელება, მაგრამ იზადებოდა კითხვა იყო კი ამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი?!

ექსპერტმა განაცხადა რომ საუბარი გახლდათ კონკრეტულ პროგრამაზე კონკრეტული აქტუალურობით და შედეგებზე გასვლით. პროგრამა მით უფრო საინტერესო იყო რაც უფრო ორიგინალურ სწავლისა და კვლევის კურსს შესთავაზებდა სტუდენტს, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გახლდათ აღნიშნული შემთხვევა და არა ყველაფრის უნიფიცირება და უნივერსალიზაცია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა რომ ის 4 პროფესორი რომელიც მუშაობდა პროგრამაზე მაღალპროფესიონალურად და პასუხისმგებლობით შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, როგორც აკადემიური პერსონალი, ისინი მუშაობდნენ, იკვლევდნენ და იღებდნენ მონაწილეობას ბევრ



საერთაშორისო კონფერენციაში და აკეთებდნენ მოხსენებს, ამრიგად პროგრამის ხარვეზი ნამდვილად არ ფიქსირდებოდა არცერთი კუთხით მხოლოდ ინგლისურს მოითხოვდა იგი უმაღლეს დონეზე.

საბჭოს წევრმა მაგდა მალრაძემ განაცხადა რომ თუ იარსებებდა მოთხოვნა სტატიების გამოქვეყნებისა რეფერირებად ჟურნალებში მაშინ აუცილებლობას წარმოადგენდა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა, რადგან ქართული ჟურნალები არ არსებობდა.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ არსებობდა ქართულენოვანი ჟურნალები თავად ტექნიკურ უნივერსიტეტსაც ჰქონდა ასეთი ჟურნალი და არ არსებობდა აუცილებლობა ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებისა, მისი განცხადებით თავად მასაც არ ჰქონდა გამოქვეყნებული უცხოენოვანი სტატიები.

საბჭოს წევრი მაია მიქაშავიძე დაინტერესდა რამდენს შეადგენდა სწავლის საფასური წარმომადგენელმა განაცხადა რომ საფასურის ოდენობა გახლდათ 3300 ლარი.



2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა:	რუსული
კვალიფიკაციის კოდი:	1109
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ.

- სასურველი იქნებოდა პროგრამას დამატებოდა ერთი სალექციო კურსი, რომელიც უფრო სიღრმისეულად გააცნობდა სტუდენტებს ელექტრონული მმართველობის არსს, მიზნებს და თანამედროვე ტენდენციებს.

- წარმოდგენილ პროგრამაში ძალიან მცირე იყო არჩევითი საგნების ბლოკი: მხოლოდ ორი საგანი. სასურველი იქნებოდა არჩევითი საგნების ბლოკი გამხდარიყო უფრო მრავალფეროვანი თუნდაც, ძირითადი (სავალდებულო) საგნების ბლოკიდან რამდენიმე ისეთი საგნის გადატანის ხარჯზე, რომლებიც შეიძლებოდა უკვე გავლილი ჰქონოდათ სტუდენტებს, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზეც საჯარო მმართველობას ეუფლებოდნენ (მაგ. „სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია“).

ექსპერტმა განაცხადა რომ აღნიშნულ დაწესებულებაში ეს პროგრამა არ გახლდათ პირველი რომელიც ხორციელდებოდა საჯარო მმართველობის მიმართულებით, არსებობდა ქართულენოვანი პროგრამაც სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურებზე. ექსპერტთა ჯგუფმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია იმას თუ რამდენად არსებობდა რესურსი იმისათვის რომ პროგრამა განხორციელებულიყო წარმატებით. ადამიანური რესურსის თავლსაზრისით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, შედგა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ პროფესორებთან, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი საბიბლიოთეკო რესურსი და ლიტერატურა ვინაიდან პროგრამა გახლდათ რუსულენოვანი. დაწესებულებას ჰქონდა სახელმძღვანელოების დიდი რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა პოტენციური სტუდენტების რესურსით, ამ კუთხით დაინტერესება იქნებოდა იმ სტუდენტების მხრიდან რომელთაც ექნებოდათ რუსულენოვანი განათლება მაგ: აზერბაიჯანელი სტუდენტები, ეთნიკური უმცირესობები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.



წარმომადგენელმა განაცხადა რომ წარმოადგინეს პროგრამა მოდიფიცირებული სახით, ცვლილებები მდგომარეობდა შემდეგში: ძირითადი საგნების ჩამონათვალს დაემატა სასწავლო კურსები, ასევე პროგრამის ძირითადი საგნებიდან არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაემატა - სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია და სოციალური პოლიტიკა. დანარჩენი წვრილმანი შენიშვნები გასწორდა ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რა ფაკულტეტი გახლდათ აღნიშნული.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ეს გახლდათ ყოფილი ჰუმანიტარული, შემდეგ ბიზნესინჟინერი მოგვიანებით სახელმწიფო მმართველობა და ამ ეტაპზე წარმოდგენილი იყო საჯარო მმართველობის კურსის სახით.

საბჭოს წევრი მაგდა მალრაძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ და რა იყო მოთხოვნა რუსულენოვანი პროგრამისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ დიდი მოთხოვნა გახლდათ აზერბაიჯანელი სტუდენტებისაგან. სწორად მათ აირჩიეს სწავლების ენად რუსული. ასევე გათვლა ჰქონდათ საქართველოში მაცხოვრებელ ეთნიკურ უმცირესობებზე აფხაზები, ოსები და ასევე იმ სტუდენტებზე რომელთაც შეეძლოთ მიეღოთ რუსულენოვანი განათლება. რაც შეეხებოდა კონტიგენტს რამდენსაც დაუწესებდნენ კვოტას იმდენს მიიღებდნენ. სავარაუდოდ მიიღებოდა 20 - 30 კაცი.

საბჭოს წევრი მაგდა მალრაძე დაინტერესდა ქართული ენის სწავლება გახლდათ არჩევითი თუ სავალდებულო.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ თუ სურვილი ექნებოდა სტუდენტს იგი აუცილებლად ისწავლიდა ქართულადაც.

საბჭოს წევრმა მაგდა მალრაძემ იკითხა არსებობდა თუ არა სხვა უნივერსიტეტებში რუსულენოვანი საჯარო მმართველობის პროგრამა რაზეც წარმომადგენელმა მიუგო რომ მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული რუსულენოვანი პროგრამა.

3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური:	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0705
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა გიორგი გვალიამ.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა ისე რომ არ იყო დაკონკრეტებული რომელ უცხო ენაზე იყო საუბარი. მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას კონკრეტულად განესაზღვრა რომელი უცხო ენა იგულისხმებოდა. პროგრამის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ საკითხზე 2 შესაძლო გზით შეეძლო მოეხდინა რეაგირება. 1) იმის გათვალისწინებით რომ რამდენიმე სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი, ლოგიკური იქნებოდა რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ყოფილიყო ინგლისური ენა და არა რომელიმე სხვა ენა. 2) იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გადაწყვეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში სხვადასხვა ენები მიეთითებინა, მაშინ მნიშვნელოვანი იქნებოდა სასწავლო პროცესის შესაბამის უცხო ენაზე წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურით უზრუნველყოფა (რაც არცთუ ისე მარტივი ამოცანა იყო).

- რამოდენიმე სილაბუსში წარმოდგენილი თემატური საკითხების თანმიმდევრობა არალოგიკური და ბუნდოვანი იყო. აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია დაწესებულების წარმომადგენლებთან შედგა და მათ კონკრეტულად მიეთითათ თუ რომელ სილაბუსზე იყო საუბარი.

- სასურველი იქნებოდა პროგრამაში უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნა ყველა დაფიქსირებული რეკომენდაცია, რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას, დაშვების წინაპირობის თვალსაზრისით, დაკონკრეტებული იქნა არა ინგლისური ენა არამედ სხვა უცხო ენებთან მიმართებითაც რათა სურვილის შემთხვევაში აპლიკანტს მისცემოდა მეტი საშუალება და ძირითად ლიტერატურად შეტანილ იქნა როგორც ქართული ასევე ინგლისურ და რუსულენოვანი სახლემძღვანელოებიც. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის უფრო

მეტად წარმოჩენის საკითხს: პროგრამის ხელმძღვანელს წარმოადგენდა აღიარებული სპეციალისტი, ასევე გამოდიოდა ჟურნალები, უნივერსიტეტს ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან (მაგ: იტალიის უნივერსიტეტთან) სადაც პუნქტობრივად იყო გამახვილებული ყურადღება სპეციალიზაციაზე და სტუდენტების ჩართულობაზე.

საბჭოს წევრმა მაგდა მალრაძემ განაცხადა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ძალიან კარგი იყო რომ სტუდენტებისათვის არსებობდა საშუალება შეერჩიათ სხვადასხვა ენა, ლიტერატურა და მასალები ძირითადად იყო ინგლისურ ენაზე და შემდგომ, მოდიფიცირებული ვერსიის თანახმად, წარმომადგენელს ხომ არ უნდოდა ეთქვა რომ ყველა მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა არსებობდა ქართულ და რუსულ ენაზეც.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ მოდიფიცირებული ვერსიის თანახმად სილაბუსებში მითითებული იყო რუსულე და ქართულენოვანი წყაროებიც. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ ყველა სასწავლო კურსში არ იყო წარმოდგენილი მხოლოდ ერთი ენა, კველევის პროცესში მონაცვლეობის პრინციპით ხელმძღვანელს საშუალება ექნებოდა მიეცა დოქტორანტისათვის მითითება სად შეიძლებოდა მოეძიებინა საჭირო მასალა, რომელ პერიოდიკაში რომელ საფეხურზე უნდა მოენახა მისთვის საინტერესო მასალა.

საბჭოს წევრმა მაგდა მალრაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა მათი მოსაზრებით პროგრამის პრონციპების დანერგვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა გიორგი გვალამ განაცხადა რომ შეთავაზებული გახლდათ ორი ალტერნატივა. პირველი ვარიანტის სახით- სტუდენტისათვის უნდა მიგვეცა ენობრივი კომპეტენცია კველვის პროცესში, ვინაიდან აღნიშნული გახლდათ ამერიკულიდან გადმოსული დარგი და აქცენტირება უნდა გაკეთებულიყო ინგლისურ ენაზე, ვინაიდან პუბლიკაციების თავლსაზრისითაც ყველა რეფერირებადი ჟურნალი გახლდათ ინგლისურ ენაზე. მეორე ალტერნატივა მდგომარეობდა იმაში რომ სტუდენტს შესაძლებელი იყო არ ცოდნოდა ენა და წაწყდომოდა ბარიერს, მაგრამ მიუხედავად ამისა რატომ უნდა ყოფილიყო შეზღუდული მისთვის შესაძლებლობა ეხელმძღვანელა იმ ენის ფარგლებში რომელსაც იგი ფლობდა ხოლო კველევის პროცესში თუ შენიშნავდა იგი რომ დასჭირდებოდა ინგლისური ენის ცოდნა, შესაძლებელი იქნებოდა ლიბერალური მიდგომა, რომ მას გაეღრმავებინა ენის ცოდნის კომპეტენციები. ექსპერტმა განაცხადა რომ მისთვის მისაღები მაინც პირველი ვარიანტი გახლდათ ვინაიდან წარმატებულ დოქტორანტს ნებისმიერ ენის კომპეტენციასთან ერთად აუცილებლად უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა C2 დონეზე.

საბჭოს წევრმა მაგდა მალრაძემ განაცხადა რომ მისი აზრით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში უფრო ტექნიკურ დარგებზე და მათ განვითარებაზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით არსებობდა ძალიან დიდი კონკურენცია სხვადასხვა უნივერსიტეტებში, საინტერესო იყო რა ხდოდა მათ პროგრამას განსაკუთრებულს და მიმზიდველს დოქტურანტურის საფეხურზე და ვის ელოდებოდნენ ამ კურსზე.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ აღნიშნული ფაკულტეტი ფუნქციონირებდა 1192 წლიდან ჰუნამიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სახელწოდებით და მათ გააჩნდათ კვლევების კონკრეტული მიმართულებები . ასევე არ არსებობდა შეზღუდვა სტუდენტების

კუთხით და შესაძლებელი იყო ნებისმიერენოვანი სტუდენტის მიღება, იქნებოდა ეს გერმანული, ფრანგული და ა.შ.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა რომ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, მაინც ინგლისური ენის ცოდნა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, წარმოადგენდა პრიორიტეტს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ მიღების წინაპირობაში გათვალისწინებული იყო ინგლისური ენის ცოდნა. დოქტორანტურის საფეხური არ გახლდათ რაიმე ახალი ცოდნის შეძენის საშუალება, აქ სტუდენტი მოდიოდა გარკვეული მიზნით და ეს საფეხური მას დაეხმარებოდა უკვე მიღებული ცოდნის დახვეწასა და ჩამოყალიბებაში. შესაბამისად კონკრეტული ენის არცოდნა არ შეუქმნდა კურსზე მოსულ დოქტორანტს გადაუჭრელ პრობლემას რომ ვერ მიეღოს შედეგი.



4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი
კრედიტების რაოდენობა	120
კვალიფიკაციის კოდი	070302

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის წევრმა, თორნიკე გურულმა წარადგინა და დასკვნაში ასახული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამა ეხებოდა რამდენიმე მიმართულებას: კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ადამიანური რესურსების მართვა (HR) და საზოგადოებასთან ურთიერთობა. სასურველი იყო, თუ ეს სამი მიმართულება მკვეთრად გაემიჯნებოდა ერთმანეთს და ცალკეული კომპონენტები მხოლოდ არჩევითი იქნებოდა პროგრამაში;
- სასურველი იყო პროგრამაში დამატებულიყო არჩევითი კურსები. სასურველი იყო ამ კურსების ჩანაცვლება ისეთი ტიპის სასწავლო კურსებით, რომელიც პიარის მიმართულებისათვის ნაკლებად რელევანტური იქნებოდა. მაგ. გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი, თარგმნის თეორია და პრაქტიკა, პოლიტიკური ფილოსოფია, ინოვაციური მენეჯმენტი, ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე).
- პროგრამა არ მოიცავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითად თეორიებს. შესაბამისად, სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსის მონაწილეებს არ ექნებოდათ შესწავლილი ძირითადი თეორიები პიარის მიმართულებით, რაც აუცილებელია პიარის სპეციალისტისათვის.
- პროგრამა არ მოიცავდა ონლაინ პიარის კომპონენტებს. მნიშვნელოვანი იყო ეს მიმართულება დამატებოდა პროგრამას.
- იმისათვის, რომ შემუშავებულიყო ცალკეული სტრატეგიები, მნიშვნელოვანი იყო ყურადღება დათმობოდა კვლევის კომპონენტს. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ცალკეული სასწავლო კურსები, თუმცა არცერთი მათგანი არ მოიცავდა კვლევას რაოდენობრივი და თვისობრივი მიმართულებით.
- პროგრამა არ ითვალისწინებდა საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს როგორცაა ღონისძიებების მართვა, მედიასთან ურთიერთობა.
- პროგრამაში მითითებული იყო, რომ ერთ-ერთი შედეგი უნდა იყოს „ეფექტური სარეკლამო რგოლების დამზადება“. აღნიშნული პროგრამით ეს შედეგი ვერ მიიღწეოდა. კურსის

გავლის შემდეგ შეუძლებელი იყო გრაფიკული და ვიდეო რგოლებისა და აუდიო რგოლების დამზადების შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში განხორციელებულ იქნა ცვლილებები და მითითებულმა კურსებმა არჩევით კურსებში გადაინაცვლა. ასევე, პროგრამას დაემატა ექსპერტების მიერ რეკომენდაციებში მითითებული რამდენიმე კურსი, მათთან ერთად - თარგმნის თეორიაც. წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან მაგისტრანტი კვლევის კომპონენტს ახორციელებს და საბოლოო შედეგზე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით გადის, ენობრივი კომპეტენცია მაგისტრანტს მასალის სრულად აღქმასა და დამუშავებაში დაეხმარებოდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ იგი პროგრამაში შესულ ცვლილებებს არ გაცნობია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამა 1995 წლიდან ფუნქციონირებს, სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების პირველად მიღება კი 1999 წელს მოხდა. მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები საზოგადოებასთან ურთიერთობების დარგში წამყვანი სპეციალისტები არიან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კითხულობენ სხვადასხვა კურსებს და საგანმანათლებლო პროგრამებსაც ხელმძღვანელობენ.

წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ 2005 წლიდან ტექნიკურ უნივერსიტეტში დაწესებულების რესურსებით ჩამოყალიბდა ქართული პრაიმის საერთაშორისო PR სპეციალისტთა ასოციაცია, რომლის ოფისი განლაგებული იყო ტექნიკურ უნივერსიტეტში და წარმატებულად ფუნქციონირებდა, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, ქმნიდა ბიბლიოთეკებს და ა.შ. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა რამდენიმე ათეული სტუდენტი, რომლებმაც საზოგადოებრივ ურთიერთობების მიმართულებით სამივე საფეხური დაასრულეს, ასევე, პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებსაც დაწესებულება სტუდენტებთან შესახვედრად თვეში ორ-სამჯერ იწვევდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ 2014 წელს 97 სტუდენტი გამოუშვა, რომელთაგანაც დიდმა ნაწილმა გამოთქვა სწავლის გაგრძელების სურვილი.

უნივერსიტეტის მეორე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და ადამიანური რესურსების მართვის დარგების ინტეგრირება თანამედროვე ტენდენცია იყო - დარგების გაყოფა 50-იანი წლების გამოცდილებას წარმოადგენდა, დღეს კი, ხშირად გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, იგივე მიდგომა არაქმედითი იყო.

ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტს, რომ ზოგადი თეორიები და პრაქტიკა პროგრამაში არ ყოფილა წარმოდგენილი. მისივე თქმით, პროგრამა 3-4 კურსს მოიცავდა, რომლებიც ძირითად თეორიებსა და პრაქტიკას შეასწავლიდნენ.

წარმომადგენელმა აღნიშნული კურსების ფარგლებში შესული რამდენიმე ავტორი და ლიტერატურა ჩამოთვალა.

წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამას დაემატა საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი, რომელიც ელექტრონულ კომერციას ეხებოდა. კვლევის კომპონენტს რაც შეეხება, პროგრამა მოიცავდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსსაც, სადაც რამდენიმე თემა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს ეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, რეგლამენტიდან გამომდინარე, შეკითხვების რეჟიმზე გადასვლა ითხოვა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მია მიქაშავიძემ განაცხადა, რომ იცნობდა პროგრამას და მისთვის საინტერესო იყო, წარსულისგან განსხვავებით, როცა პროგრამა მეტად ფოკუსირებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რეკლამის დამატებით ხომ არ გაფართოვებულა მისი ფოკუსი და ხომ არ იყო პროგრამისთვის მეტად თეორიული სახის მიცემის მცდელობა.

მია მიქაშავიძემ თარგმანის კურსის სახელწოდებასთან დაკავშირებით იკითხა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი კურსს უბრალოდ ინგლისური ენა რქმეოდა, თუმცა დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი ინგლისურის დარგობრივ კურსს წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრის პასუხად განაცხადა, რომ პროგრამა არსებულის მოდიფიცირებით და გაფართოებით იქნა მიღებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ფაკულტეტების უფრო ტექნიკური პროფილით წარმოჩენის მიზნით სახელები გადაერქვათ (მაგ.: ჰუმანიტარულ ფაკულტეტს ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი ეწოდა და ა.შ.). მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ საბჭოსთვის თუ როგორ ცდილობდნენ პროგრამის ტექნიკური პროფილის მეტად წარმოჩენას. საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით დასძინა, რომ მსგავსი კითხვები იმ მიზნით ისმებოდა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს საკუთარი ნიშის პოვნაში დახმარებოდნენ. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა ტექნოლოგიური ბაზის, სამი ლაბორატორიისა და ფართო შესაძლებლობების შესახებ აღნიშნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბოლოს დამატებით განაცხადა, რომ მისი აზრით, პროგრამის ნაკლი იყო ის, რომ სამართლებრივი (იურიდიული) კომპონენტი აკლდა და გამოსწორება იგეგმებოდა.

საბჭოზე შესვენება გამოცხადდა 16:49 საათზე.

საბჭო დატოვა თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ. სხდომის თავმჯდომარეობა გადაიბარა თავმჯდომარის მოადგილემ, მია მიქაშავიძემ.

საბჭო განახლდა 17:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 1);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 1).  
ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ერთი წლის ვადაში;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 2);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1).  
ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ერთი წლის ვადით;

საბჭო დატოვა საბჭოს წევრმა, ნანა ცერცვაძემ 17:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს დარჩენილი დღის წესრიგი გააცნო.

საბჭოს შემოუერთდა საბჭოს წევრი, მაგდა მალრაძე.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კულტურის და მედიის სოციოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრი
კრედიტების რაოდენობა	120
კვალიფიკაციის კოდი	070604

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კულტურის და მედიის სოციოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციოლოგიის დოქტორი
კრედიტების რაოდენობა	180
კვალიფიკაციის კოდი	0706

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის წევრმა, თორნიკე გურულმა წარადგინა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას დასკვნაში ასახული რეკომენდაციები გააცნო:

- მნიშვნელოვანია, რომ მიზნებში მითითებული მეთოდოლოგია,, სწავლების მეთოდებში კარგად იყოს გაშლილი;
- სასურველია 5 კრედიტიან პრაქტიკის კომპონენტს გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა.

ექსპერტმა სამაგისტრო პროგრამის სუსტ მხარეებად დაასახელა შემდეგი საკითხები:

- სილაბუსებში შესული იყო მოძველებული თემები;
- მოწვეულ პედაგოგებთან წინარე ხელშეკრულებები არ ყოფილა გაფორმებული;
- ცალკეულ სილაბუსებში არ იყო გაწერილი საკონსულტაციო საათები;
- სილაბუსებში მითითებული იყო დიდი რაოდენობით რუსული ლიტერატურა, თუმცა კურსებზე დაშვების წინაპირობად რუსული ენის ცოდნა ჩასმული არ ჰქონია;

- ცალკეულ კურსებს ჰქონდა წინაპირობა, რომელიც პროგრამაში საერთოდ არ ფიქსირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. თუმცა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მსგავსი კორექტირებების შეტანა მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, რადგან პროგრამაზე ჯერჯერობით არცერთი სტუდენტი არ ირიცხებოდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი 2016-17 სასწავლო წლის ავტორიზაციისთვის იწყებდა მზადებას და პროგრამებიც გადახალისდებოდა. მიუხედავად ამისა, მისივე თქმით, პროგრამის სამუშაო ჯგუფი პრაქტიკის კომპონენტის 10 კრედიტამდე გაზრდას მაინც პოზიტიურ ცვლილებად მიიჩნევდა, რადგან 10 კრედიტის ფარგლებში სტუდენტი მეტი ცოდნის შექმნას შეძლებდა.

დაწესებულების წარმომადგენელი პერსონალის წინარე ხელშეკრულებების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვისასაც იგივე რეკომენდაცია მიიღეს, თუმცა დაწესებულებას მსგავსი პრაქტიკა არ გააჩნდა და არ შეეძლო ხელშეკრულებების შესაბამისად რედაქტირება.

რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ლიტერატურის თარგმნისთვის გამოყოფილი იყო თანხები და მზადდებოდა რიდერები. დაწესებულებას შესწავლილი ჰქონდა თუ რა მოცულობის ლიტერატურის თარგმნა იყო აუცილებელი და ვინაიდან პროგრამაზე ჯერ სტუდენტები არ ირიცხებოდნენ, ერთი წლის განმავლობაში პრობლემა მოგვარებადი იყო.

სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულ სტუდენტს პროგრამის მიმართულებით ცოდნის გაღრმავების საშუალებას არ აძლევდა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სასურველი იყო უმაღლეს სასწავლებელს დოქტორანტებისთვის კულტურის და მედიის სოციოლოგიის მიმართულებით სპეციალიზირებული სასწავლო კურსები შეეთავაზებინა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა უნივერსიტეტში დამტკიცებული დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით ხორციელდებოდა - ფაკულტეტების მოცულობისა და პროგრამების სიმრავლის გამო, ასეთი ზოგადი წესის არსებობა აუცილებელი იყო. წარმომადგენლის თქმით, მართალია, პროგრამა ექსპერტის მიერ აღნიშნულ სპეციფიკურ კურსებს არ მოიაზრებდა, თუმცა პროგრამა მოიცავდა სემინარებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ცოდნას იღრმავებდნენ და აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა ნორმატიული აქტი საჯარო იყო.

პროგრამების შესახებ დამატებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, ინტერდისციპლინარული პროგრამების ხელმძღვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა. მისივე თქმით, მიმართულებაზე განსაკუთრებული აქცენტი სამაგისტრო პროგრამაზე კეთდებოდა, რადგან

მედიისა და კულტურის სფეროში სხვადასხვა დისციპლინების თვალთახედვით დარგის გაღრმავების საშუალებას იძლევა. პროგრამაზე მინიმუმ 10 კრედიტის ოდენობით დაშვებული იყო თავისუფალი კომპონენტი. ნანი მაჭარაშვილმა ხაზი გაუსვა პროფესორის მაღალკვალიფიციურობასა და კვლევაზე ორიენტირებულობას. მისი თქმით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებაზე 15-მდე მსურველია. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან შეხვედრამ მათი მაღალი მოლოდინები გამოავლინა.

სხდომის თავმჯდომარე, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, რამდენად სტრუქტურირებული იქნებოდა სემინარული სწავლება და მიუხედავად სემინარების ხელმძღვანელთა ინდივიდუალური ძალისხმევისა, გავიდოდა თუ არა იგი შედეგზე. ნანი მაჭარაშვილმა პასუხად აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს იმში, რომ ნებისმიერი სადოქტორო პროგრამა მომიჯნავე კურსების შეთავაზებას გულისხმობს, რის საჭიროებასაც თავად ხედავდა და მომავალ აკრედიტაციაზე სწორედ საგნობრივი კურსების შეთავაზებას ისახავდა პრიორიტეტად. დღესდღეობით კი, წარმომადგენლის თქმით, კონტრიბუცია ხელმძღვანელზე და პროფესურაზე იყო.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენად გაცნობიერებული იყო პროგრამაზე საბაზრო მოთხოვნები. ნანა მაჭავარიანმა პასუხად განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი, დიანა ლეჟავა პროგრამაში პოტენციური დამსაქმებლის სტატუსითაც იყო ჩართული, ასევე, პოტენციური დოქტორანტების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებული და ჩართული იყო საერთაშორისო დონის კვლევით საქმიანობაში. ბაზრის მოთხოვნას რაც შეეხება, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა კვლევისა და ანალიტიკური საქმიანობის მოთხოვნებს პასუხობდა. ნანა მაჭარაშვილმა საბჭოს წევრის კითხვებზე პასუხად დაამატა, რომ პროგრამის ფარგლებში კულტურა აინტერესებთ როგორც სოციალური განზომილება და თემატიკაში ანთროპოლოგიური საკითხებიც შემოდიოდა.

7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება-	ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური-	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი
-	
სწავლების ენა-	ქართული
კვალიფიკაციის კოდი-	01
კრედიტების რაოდენობა-	120

ექსპერტა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჩიჩუამ:

- სასურველია გასწორდეს პროგრამასა და სილაბუსებში არსებული ტერმინოლოგიური უზუსტობები და უფრო ლაკონურად და მკაფიოდ ფორმულირდეს ზოგიერთი ფრაზა;
- სასურველია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში არსებული ჩანაწერი ასახული იყოს ცოდნა და გაცნობიერების ნაწილშიც;
- სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსში „ქართული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ღვინოპროდუქციის წარმოება და მენეჯმენტი“ მეტი ადგილი დაეთმოს ღვინის ხარისხის მართვის საკითხებს;
- სასურველია სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის სიმრავლის შემთხვევაში ლექტორის მიერ ლიტერატურა შეკრებილ იქნას ელექტრონულ სახელმძღვანელოს სახით (ე.წ. რიდერის სახით) /განთავსებულ იქნეს ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით;
- სასურველია სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიულ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ერთდროულად მაქსიმუმ 4-5 სტუდენტის მონაწილეობა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ახალი და სტუდენტები არ ჰყავდა. აქედან გამომდინარე, ინტერვიუ ჩატარდა სხვა პროგრამის სტუდენტებთან. ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებთან რამდენიმე საკითხზე გაიმართა დისკუსია და მცირე შესწორებები იქნა შეტანილი პროგრამაში, დასკვნა დაიწერა შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

ექსპერტის თქმით რამდენიმე ცვლილება შევიდა კურიკულუმში:

- კერძოდ, კვლევითი კომპონენტის შევსება არჩევითი სასწავლო კურსით „კვლევის მეთოდოლოგია და დაგეგმვა აგრარულ მეცნიერებებში“, რის შედეგადაც სამაგისტრო თემიდან გამომდინარე სტუდენტს შეუძლია როგორც ბაზრის კვლევის მიმართულებით, ისე აგრარული ტექნოლოგიების ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებით შეიძინოს საჭირო ცოდნა და უნარები. განხორციელებული ცვლილება დამტკიცებულ იქნა აკადემიური საბჭოს მიერ;
- 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ღვინის მარკეტინგი და კომერცია“ გადატანილ იქნა მესამედან მეორე სემესტრში, ხოლო იმავე მოცულობის „ქართული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ღვინოპროდუქციის წარმოება და მენეჯმენტი“ მეორედან მესამეში. აღნიშნული ცვლილების დადასტურებად წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #27.

ექსპერტის თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს მოქნილი სასწავლო ცხრილის შემუშავებასთან დაკავშირებით. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სულ რამდენიმე პროგრამა იყო. რადგან მსოფლიოში დიდი მოთხოვნა და დაინტერესება იყო დარგის მიმართ, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ გამოთქმული იყო სურვილი აღნიშნული პროგრამის საქართველოში გავლასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იყო ორიენტირებული აგრარული მეცნიერებების მიმართულებაზე, თუმცა პატრიარქის ინიციატივის შესაბამისად შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა. თავდაპირველად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ათი თვის მუშაობის შედეგად შეიქმნა წარმოდგენილი პროგრამა. ყურადღება გამახვილდა ღვინის დამზადების უნიკალურ ტექნოლოგიაზე და ყველაფერი გაკეთდა, რომ პროგრამა ყოფილიყო წარმატებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა აკადემიურ პერსონალი, ყველა დარგის გამორჩეული სპეციალისტი პროგრამაში იყო ჩართული ვინც არსებობდა საქართველოში. ასევე აუცილებელი გახდა მარკეტინგის საგნების ჩასმა პროგრამაში.

პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორი საგანი გადანაცვლდა მეორედან მესამე სემესტრში. ღვინის ხარისხის მართვის საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 4 კვირაზე იყო გაწერილი, გათვალისწინებულიყო ISO სტანდარტებისა და ყველა საჭირო საკითხის სწავლება, რაც, მათი აზრით, სრულიად საკმარისი იყო. ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმსაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში. „რიდერებიც“ არ წარმოადგენდა პრობლემას, უმეტესი მათგანი ბროშურა იყო, რადგან ამ დარგში სახელმძღვანელოები მწირი იყო.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა კვლევითი კომპონენტი იყო თუ არა გათვალისწინებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად აგრარულ მეცნიერებებში დაემატა კვლევა 40 კრედიტის მოცულობით.

რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, პროგრამა უზრუნველყოფილი იყო ძლიერი ბიოქიმიის ლაბორატორიით რაც ექსპერტებმაც ნახეს ვიზიტის დროს. მისი თქმით, ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული ღვინის ლაბორატორიასთან, ლაბორატორიის წარმომადგენელი ექსპერტებთან ინტერვიუზეც იმყოფებოდა.

ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა უნიკალური მატერიალური ბაზა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა მოკლე პრეზენტაცია.



8. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება- ქართულ ენაში მომზადებია პროგრამა  
კრედიტების რაოდენობა- 60

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია საბჭოს გააცნო ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბალანჩივაძემ. მისი აზრით, პროგრამის მიზნები, მისია და სტანდარტი თანხვედრაში იყო. პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს და სხვებს ქართული ენა B1 დონეზე უნდა შეასწავლოს. 21-ე საუკუნეში აქტუალური იყო პრობლემა, რადგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ ფლობდნენ ქართულ ენას, ამიტომ ევროსაბჭოს ფარგლებში შედგა ჩარჩო, რომლის მიზანიც იყო ენის შესწავლის ხელშემწყობის ადმინისტრირება. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაცია:


- პერიოდული გამოკითხვისა და შუალედურ გამოცდაზე განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ან კოეფიციენტი, რომ დასკვნით გამოცდაზე არ გასვლის რისკ-ფაქტორი აღმოიფხვრას (სტუდენტი ფასდება პერიოდული გამოკითხვით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებით. მინიმალურ შეფასება განისაზღვრება 51 ქულით. თუ სტუდენტი პერიოდული გამოკითხვისა და შუალედური გამოცდის შედეგად დააგროვებს ჯამში მინიმალურ 51 ქულას, შესაძლოა აღარ მოისურვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლა, რომლის უფლებაც მას, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ექნება. ამიტომ მხოლოდ დასკვნით გამოცდაზე მინიმალური ბარიერის დაწესებით სწავლის შედეგი სრულად შესაძლოა რა იყოს მიღწეული).

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შეფასება 3 კომპონენტისანი ჰქონდათ: პერიოდული, შუალედური და დასკვნითი. მარეგულირებელ წესში დადგენილია, რომ აუცილებელია სტუდენტმა ჯამურად დააგროვოს 51 ქულა, ანუ პერიოდულის ჩაგდების შესაძლებლობასაც უკარგავს სტუდენტს. თან დასკვნითს ენიჭება უფრო მეტი ქულა. ენის ცოდნის B1 დონესთან დაკავშირებით განმარტა, რომ მარნეულში პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის აბიტურიენტების საკმაოდ სუსტი ნაკადი იქნებოდა და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრა B1+ დონე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების წესის მარეგულირებელი დოკუმენტი  
ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს არ უნახავს.

18:47 საათზე საბჭოს წევრი მაგდა მალრაძე დაბრუნდა სხდომაზე.



9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება-	რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა
განათლების საფეხური-	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
სწავლების ენა-	ქართული
კვალიფიკაციის კოდი-	020204
კრედიტების რაოდენობა-	120

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია საბჭოს გააცნო ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ლაღანიძემ. მისი თქმით, პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე ჩატარებული იყო ძალიან კარგი ბაზრის კვლევა. პოტენციური დამსაქმებლების დიდი ნაწილი პროგრამის განმახორციელებლები იყვნენ. მისი აზრით, ამ სფეროში მხოლოდ თეორიული ცოდნის მქონე პირების ჩართვა დააზიანებდა პროგრამას. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის აღწერაში არსებული ტექნიკური შეუსაბამობების გასწორება, როგორცაა კრედიტების ჯამის ზუსტი გადათვლა;
- შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა რიგ სილაბუსებში, რათა მოხდეს გამრავალფეროვნება უახლესი სამეცნიერო სტატიებით;
- პროფესორ-მასწავლებლების დატვირთვის საათებში ზედა და ქვედა ზღვარში მეტი სიცხადის შეტანა;
- პროფესორ-მასწავლებელთა საკონსულტაციო/მიღების საათების შესახებ სტუდენტების უკეთესი ინფორმირებულობა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმირებულობის შესახებ რეკომენდაციას და გამოთქვა მზაობა აღნიშნულის გამოსასწორებლად შეემუშავებინათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემა. პროფესორის დატვირთვის სქემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოზე უახლოეს მომავალში დაამტკიცებდნენ მაქსიმალურ რაოდენობას, 12 საათს. ლიტერატურის გადახედვისა და გამრავალფეროვნებისათვის წინ მთელი ზაფხული იყო, რომ ის სამეცნიერო

სტატიები, რომელთა განხილვაც ხდებოდა ლექციაზე, ასახულიყო სილაბუსებში. სილაბუსები სექტემბრამდე დამუშავების პროცესში იყო, სექტემბერში დარეგისტრირდებოდა და ყველა სტუდენტს პროგრამულად ექნებოდა მათზე წვდომა.



10. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0401

ექსპერტებმა, კახაბერ თავზარაშვილმა და მანანა ხაჩიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინეს შენიშვნები დასკვნიდან:

- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არ არის ლოგიკური;
- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი არ არის გამჭვირვალე (ჯგუფური პროექტის შეფასება);
- საგანში IT-15 პროექტი შეფასებაში აღნიშნულია როგორც სემესტრი, ასევე ტრიმესტრი. შეცდომაა დაშვებული ქულების გადანაწილებაში. პროექტის სილაბუსი არის მაგისტრატურის საფეხურის;
- სტუდენტი ვერ ახდენს თავისი პროფილის განსაზღვრას არჩევითი საგნების არარსებობის გამო.
- დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი (ლაბორატორიები);
- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსში ლიტერატურა არ შეესაბამება კურსის მიზნებს (კალკულუსი, ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ელექტრობა).
- ექსპერტებმა წარმოადგინეს შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დარგის მიმართულებით პროგრამაში შეტანილ იქნეს არჩევითი კურსები;
- მიზანშეწონილია პროექტი (IT-15) იყოს უფრო პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი;
- მიზანშეწონილია პროგრამაში დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.
- მიზანშეწონილია, პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, პროგრამაში დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის შიდა კრიტერიუმები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა პროგრამის შედგენა ბიზნესისა და ინფორმატიკის კომბინაციით, თუმცა არჩევითი საგნები ძალიან მწირი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების კომენტარები უფრო შეფასებითი ხასიათის იყო. მან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს სთხოვა თვალსაჩინოებისთვის წარმოედგინა ანალიზი, რაც დაწესებულებამ გააკეთა. პრეზენტაციაში აღნიშნული იყო, რომ შესწავლილი ჰქონდათ სხვადასხვა ავტორიზებული დაწესებულებების მაგალითები და შედეგად, დასტურდებოდა, რომ კრედიტების გაანგარიშება სხვადასხვაგვარი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კრედიტების სხვადასხვაგვარი განაწილება უფრო სრულყოფილ სისტემაზე მეტყველებდა.

პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ცოტა დამაბნეველი და ბუნდოვანი ყოფილიყო, მაგრამ ზოგიერთი საგანი საერთოდ არ წარმოადგენდა წინაპირობას. მან განაცხადა, რომ ზოგადი ფორმულა არ არსებობდა და თანაც, სხვა ავტორიზებულ დაწესებულებასაც ჰქონდა იმავენაირად აწყობილი საგნის პრერეკვიზიტები.

საბჭოს წევრმა, მათა მიქაშავიძემ აღნიშნა, რომ მათ მიერ ჩატარებული ანალიზის მაგალითები გასაგები იყო, მაგრამ საინტერესო იყო თვითონ საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის მოტივაცია, რის გამო მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნები ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და შინაარსობრივ მხარეზე არ იყო საუბარი. პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მაგისტრატურის პროგრამას წინა წელს ჰქონდა გავლილი აკრედიტაცია და ეს იყო თვეების მუშაობის შედეგი, სადაც აისახა დაწესებულების ხედვა, როგორ მოემზადებინათ კონკურენტუნარიანი სტუდენტი. იქიდან გამომდინარე, რომ სტანდარტი და კანონმდებლობა არ ითხოვდა არც არჩევითი საგნების არსებობას და არც

პრაქტიკის გავლას, დაწესებულება არ არღვევდა არცერთ მათგანს, მითუმეტეს, სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები არ ნიშნავდა კონკურენტუნარიანობის გაზრდას, თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამაში გათვალისწინებული იყო ზოგადი ხასიათის არჩევითი საგნები.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ამოქმედებამდე გაუმართლებელი იყო ინვესტიცია. აქ არ იყო უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობაზე საუბარი, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობით, ფინანსური ხარჯვა ამ ეტაპზე არ იყო გამართლებული.

ლიტერატურასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში არსებული საკითხები მთლიანად იყო დაფარული დამატებითი ლიტერატურით. დასკვნაშიც იყო მითითებული, რომ ლიტერატურა უახლესი იყო. ხოლო სოციალური სტატისტიკა იმიტომ გამოიყენეს, რომ ბიზნესის ეკონომიკის ამოცანა ბევრად მეტი იყო ამ სახელმძღვანელოში.

ექსპერტმა, კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას უნდა მოემზადებინა ინფორმატიკის ბაკალავრი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ მოსაზრება გამოთქვა, რომ დაწესებულება აპირებდა პრაგმატულად მოემზადებინა კურსდამთავრებული, რომელსაც ბანკი დაასაქმებდა, და მოერგებოდა საქმეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მიზანი იყო, გამოეხარდათ ინფორმატიკის სპეციალისტი, შუალედური რგოლი, რომელიც იქნებოდა ბიზნესანალიტიკოსი და არ ჩაიკეტებოდა თეორიასა და პრაქტიკას შორის. ბანკს არ ჰქონდა არანაირი ჩანაფიქრი მათ მიმართ, კონკურსის მიღების წესი იქნებოდა ყველასათვის საერთო და დასაქმების სფერო არ მიეზღებოდა ბანკს. მან დაამატა, რომ ყველა სხვა კურსდამთავრებული უკვე მუშაობდნენ.

საბჭოს წევრმა, მაგდა მალრაძემ აღნიშნა, რომ პირველად ჰქონდა შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტმა წარმოადგინა დასაქმების ბაზრის ასეთი სრულყოფილი კვლევა, სადაც გაწერილი იყო კომპეტენციები, დამუშავებული შედარებითი ანალიზი, მან ყურადღება გაამახვილა, რომ რეალურად მათ ეწერათ, რომ საქართველოს ბანკს სჭირდებოდა კადრები და ეს იყო ბანკის მთავარი მოთხოვნა, ამ დროს კი არ კეთდებოდა აქცენტი პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვლევის სეგმენტი იყო ბანკი, როგორც უმსხვილესი დამსაქმებელი. სულ სამი ბანკია რომელიც ფინანსებში საერთაშორისო სტანდარტებით ოპერირებს, რაშიც ძლიერი მხარე დაინახეს და მოარგეს

პრაქტიკულ რეალობას. ინფორმატიკა საჭირო სპეციალობას წარმოადგენდა, მაგრამ მას სჭირდებოდა მიხედვა. იხელმძღვანელებს მარტივი ლოგიკით - ესწავლებინათ ის, რაშიც ძლიერები იყვნენ და ეს იყო მორგებული ბაზრის პრინციპებზე.

სხდომის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა პროგრამის ინოვაციურობას და იკითხა, რამდენად იყო შესაძლებელი, გაეთვალისწინებინათ ის შენიშვნები, რაც ექსპერტებმა დაწერეს, რადგან მნიაჩნდათ, რომ შენიშვნები ღირებული იყო და მხოლოდ წაადგებოდა პროგრამას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველაფერი გაითვალისწინეს - წინაპირობებთან, ინგლისურთან დაკავშირებით ცვლილებები ასახეს.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა აკადემიური პერსონალით, ამ უნივერსიტეტის კადრები იყვნენ თუ სხვა დაწესებულების?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალი დაკომპლექტებული იყო ორივე არეალიდან, 25 იყო მოწვეული პროფესორი, ხოლო 6 - აკადემიური.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ყოველი ახალი პროგრამა ნიშნავდა რესურსის წართმევას მოქმედი პროგრამებისთვის, მითუმეტეს, როდესაც ვიწრო სფეროზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ აპირებდა დაწესებულება აკადემიური პერსონალის გადამზადებასა და მომზადებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აპირებდნენ და ხშირად ატარებდნენ კონკურსს, სურდათ რესურსების მოძიება, ამასთან შერჩევის კრიტერიუმები იყო მკაცრი და ლექტორებთან მუდმივ უკუკავშირს იღებდნენ.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რაც ვიზიტის დროს ვერ გამოსწორდა, იმ შენიშვნებთან დაკავშირებით რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კომუნიკაცია შედგა და გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხზე მუდმივად ზრუნავდნენ, პროფესიული რჩევებიც გათვალისწინებული იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ საქართველოს ბანკზე არ იყვნენ ორიენტირებულები, რასაც ადასტურებდა ის, რომ 7 ბანკის პერსონალი სწავლობდა მათთან.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ იკითხა, ამ შემთხვევაში რატომ არ აფინანსებდა ბანკი სხვა უნივერსიტეტებს და ართმევდა სხვა დაწესებულებებს რესურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბანკი პირველ რიგში აფინანსებდა საზღვარგარეთ სწავლებას და ლიტერატურით მომარაგებას. მან დაამატა, რომ ისინი არ აპირებდნენ არავისთვის რესურსის წართმევას.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენს შეადგენდა სწავლის საფასური.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე ჯერ კიდევ მსჯელობდნენ, მაგისტრატურაზე სწავლის საფასური ორ წელზე შეადგენდა 15 000 ლარს.

საბჭოს წევრი, მაგდა მალრაძე დაინტერესდა ლაბორატორიის შესყიდვაზე რა თანხა იყო გამოყოფილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი ლაბორატორიისთვის 70 000 ლარის ინვესტიციას გეგმავდნენ.

ექსპერტმა, კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნა არ ეხებოდა კრედიტების მოცულობას, არამედ ამ კრედიტების რაოდენობის გაზრდას არჩევითობის თვალსაზრისით. მან დაამატა, რომ საგნები მცირე მოცულობის იყო და გადანაწილებული ნახევარ სემესტრზე, რაც, ექსპერტების აზრით, არ იყო საკმარისი. კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალი მაღალკვალიფიციური კადრებისგან იყო დაკომპლექტებული და ამიტომ უნივერსიტეტს გააჩნდა პროგრამის გადაკეთების რესურსი. ხოლო წინაპირობებთან დაკავშირებით, არსებობდა ხარვეზები, რომლის გამოსწორება რთული იყო. მაგალითად, ელექტროობას სწავლობდნენ ისინი, ვისაც ფიზიკის სწავლა არ მოეთხოვებოდა და ეს სირთულეს შექმნიდა. აღნიშნული საკითხების გაზნევა შეიძლებოდა ისეთ საგნებში, როგორც იყო კომპიუტერის არქიტექტურა და ა.შ. მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელმა ცალკე საგნად გადაწყვიტა გამოტანა, ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნებოდა წინაპირობების დამატება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, დაწესებულებას არ ჰქონდა აპარატურა, ამიტომ ვერ დაადასტურებდნენ შესაბამისობას. ასევე, გასათვალისწინებელი იყო, რომ ბიზნესისა და დარგის საგნები 50/50-ზე იყო განაწილებული მაშინ, როცა ინფორმატიკის ხარისხს ანიჭებდნენ. არჩევითი საგნების ნაკლებობა კი უფრო ართულებდა მდგომარეობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არჩევითი საგნების არარსებობა ხარვეზი არ იყო, რაზეც თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი და სტანდარტი მოითხოვდა.

ექსპერტმა, კახაბერ თავზარაშვილმა, დაამატა, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტი ვერ ახერხებდა დაგეგმვას.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა წაიკითხა 3.1 სტანდარტი და აღნიშნა, რომ იგი არჩევითობას არ ითვალისწინებდა.



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თემა უკვე ცდებოდა სხდომის საკითხს და სხდომაზე შესვენება გამოაცხადა 19:51 საათზე. საბჭოს სხდომა განახლდა 20:38 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას არ მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 3; წინააღმდეგი - 3);

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნები მნიშვნელოვანი იყო და საბჭოს დიდი პოლემიკა ჰქონდა ამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედეგი სამწუხარო იყო, თუმცა შენიშვნები იყო რაოდენობრივი და არა შინაარსობრივი, უფრო სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ არ მიაჩნდა სწორად, როდესაც

ექსპერტი წერდა ხარვეზად საკითხს, რომელზეც საკუთარ პროგრამაში ზუსტად იგივე წინაპირობების პრობლემა ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ, მაია მიქაშავიძემ, განაცხადა, რომ საბჭოს შვიდივე პუნქტით არ მიუღია გადაწყვეტილება და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გამოც, არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად აკრედიტაციის მინიჭება ამ ეტაპისთვის, იყო არჩევითი საგნები, ტექნოლოგიური აღჭურვილობა, გასაგები იყო, რომ ბანკს სხვანაირად ჰქონდა გათვლილი ფინანსური ხარჯები, ასევე საათების თანაფარდობა ბიზნეს და ინფორმატიკის საგნებს შორის, რაც, ექსპერტების აზრით, ინფორმატიკის კვალიფიკაციის გაცემის მართებულობას ეჭვქვეშ აყენებდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, 20:43 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გიორგი კამკამიძე

მაია მიქაშავიძე

მდივანი

ნინო დავლაშერიძე

